

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №442

2013 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსადგურის და ავტოსადგომის ფუნქციონირების წესისა და პირობების“ დამტკიცების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №234 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსადგურის და ავტოსადგომის ფუნქციონირების წესი და პირობები“.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №234 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

ტექნიკური რეგლამენტი

ავტოსადგურის და ავტოსადგომის ფუნქციონირების წესი და პირობები

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №234 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსადგურის და ავტოსადგომის ფუნქციონირების წესი და პირობები“ (შემდგომში – წესი) ადგენს ავტოსადგურების ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების, საწარმო და საყოფაცხოვრებო ობიექტების მიმართ უსაფრთხოების, ადამიანთა და ცხოველთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოს და საკუთრების დაცვის მოთხოვნებს, ასევე აღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს სახმელეთო სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთების სასაზღვრო გამტარ პუნქტებთან განთავსებული, ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართული M2, M3, N2 და N3 კატეგორიის (ცალკე, ნახევარმისაბმელით ან მისაბმელით) ავტოსატრანსპორტო საშუალებების, ავტოსადგომების პარამეტრებს.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №234 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის დადგენილება №278 - ვებგვერდი, 27.06.2016წ.

მუხლი 2. რეგულირების სფერო და მიზანი

1. ამ წესის მოთხოვნები ვრცელდება ავტოსადგურებსა და კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო და ქვეყნის შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანის (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანების გარდა) პროცესში მგზავრებისა და გადამზიდველების მომსახურებას ავტოსადგურებში, ასევე საქართველოს სახმელეთო სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთების სასაზღვრო გამტარ პუნქტებთან განთავსებული, ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართული M2, M3, N2 და N3 კატეგორიის (ცალკე, ნახევარმისაბმელით ან მისაბმელით) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ავტოსადგომებზე.

2. ამ წესის მიზანია, საერთაშორისო და ქვეყნის შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანების ორგანიზაციისას, მგზავრებისა და ავტოსადგურის პერსონალის უსაფრთხოების დაცვის აუცილებელი პირობების დაკმაყოფილება, ასევე საქართველოს სახმელეთო სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთების სასაზღვრო გამტარ პუნქტებთან განთავსებული, ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართული M2, M3, N2 და N3 კატეგორიის (ცალკე, ნახევარმისაბმელით ან



მისაზღვრელი) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ავტოსადგომებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კერძოდ:

- ა) მგზავრთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების დაცვა, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, ადამიანისა და გარემოსათვის მიყენებული ზიანის მინიმიზაცია;
- ბ) ავტობუსის კონსტრუქციის (კლასის) შესაბამისობა მომსახურების სახეობასთან;
- გ) ავტობუსის გამგზავრება წინასწარ დადგენილი განრიგით;
- დ) საგზაო ტრანსპორტის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო კანონმდებლობასთან.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №234 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის დადგენილება №278 - ვებგვერდი, 27.06.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №614 – ვებგვერდი, 08.10.2020წ.*

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ავტობუსი – მგზავრის გადასაცემად და მისი ბარგის გადასატანად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება 8-ზე მეტი დასაჯდომი ადგილით, მძღოლის ადგილის გარდა (M₂ და M₃ კატეგორიები);
- ბ) ავტოსადგური – კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ტერიტორიაზე მოწყობილი შენობა-ნაგებობის, ტერიტორიის და ტექნოლოგიური აღჭურვილობის კომპლექსი, სადაც ხორციელდება საერთაშორისო და ქვეყნის შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანებთან დაკავშირებული მომსახურება;
- გ) ავტოსადგურის მგზავრთტევადობა – მგზავრთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც შესაძლებელია ერთდროულად განთავსდეს ავტოსადგურის ტერიტორიაზე სამშენებლო ნორმატივების დაცვით;
- დ) ავტოსადგურის სადღეღამისო გამტარუნარიანობა (სიმძლავრე) – მგზავრების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებსაც შესაძლებელია მოემსახუროს ავტოსადგური დღე-ღამეში;
- ე) ბაქანი – ავტოსადგურის ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება მგზავრების ავტობუსში ჩასხდომა და ავტობუსიდან გადმოსხმა;
- ვ) მარშრუტი – პუნქტებს შორის ავტობუსების მიმოსვლისათვის წინასწარ დადგენილი გზასავალი;
- ზ) მგზავრთა ჩასხდომის (გადმოსხმის) პოსტი – ერთი ავტობუსის დგომისათვის განკუთვნილი ბაქნის ნაწილი;
- თ) მგზავრი – ფიზიკური პირი, რომელიც მგზავრობს ავტობუსით გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულების საფუძველზე;
- ი) მოძრაობის განრიგი – ავტობუსების მარშრუტზე მოძრაობის დაწყება-დამთავრების დროის, მიმოსვლის ინტერვალისა და შუალედურ პუნქტებში გაჩერებების განმსაზღვრელი ცხრილი;
- კ) რეისი – მარშრუტზე შესრულებული (შესასრულებელი) სატრანსპორტო პროცესი;
- ლ) ქვეყნის შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანა – საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში განხორციელებული რეგულარული გადაყვანა (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანების გარდა);
- მ) ავტოსადგომი – შენობა, ნაგებობა ან სპეციალური ღია მოედანი, რომლის დანიშნულებაც ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირება და შენახვა (დაცვა) და რომლის პარამეტრებიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.



2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც მოცემულია „სავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №234 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №614 – ვებგვერდი, 08.10.2020წ.

მუხლი 4. ავტოსადგურების კლასიფიკაცია და მოწყობა

1. ავტოსადგურები მომსახურების, უსაფრთხოებისა და მომხმარებელთა საკუთრების დაცვის დონის მიხედვით იყოფა პირველი, მეორე და მესამე კლასის ავტოსადგურებად.

2. პირველი და მეორე კლასის ავტოსადგურს უნდა გააჩნდეს:

ა) საბილეთო სალარო;

ბ) მგზავრების მოსაცდელი დარბაზი;

გ) სანიტარიულ-ჰიგიენური ბლოკი;

დ) მძღოლების დასასვენებელი ოთახი;

ე) ბაქანი (ბაქნები);

ვ) სადისპეტჩერო;

ზ) რეისებს შორის ავტობუსების სადგომი მოედანი;

თ) საინფორმაციო სამსახური.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გარდა პირველი კლასის ავტოსადგურს უნდა გააჩნდეს ავტობუსების წინასარეისო მომსახურების პოსტი, ადმინისტრაციული დანიშნულების ოთახები, ბარგის შემნახველი საკანი, სამედიცინო პუნქტი, დედათა და ბავშვთა ოთახი, ელექტროენერჯიის ავტონომიური წყარო, საგზაო მოძრაობიდან იზოლირებული მიმდებარე ტერიტორია საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტისა და მსუბუქი ტაქსების გასაჩერებლად.

4. მესამე კლასისა ავტოსადგური, რომელსაც გააჩნია:

ა) საბილეთო სალარო;

ბ) არანაკლებ 15 მ.² ფართის გადახურული მოსაცდელი არანაკლებ 5 დასაჯდომი ადგილით;

გ) ბაქანი;

დ) ავტობუსების გასაჩერებელი მყარი საფარის მქონე მოედანი;

ე) საპირფარეშო (ავტოსადგურის ტერიტორიაზე ან ტეროტორიიდან არა უმეტეს 100 მეტრის დაშორებით).

5. სამივე კლასის ავტოსადგური წარმოადგენს საერთაშორისო და ქვეყნის შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანისას მარშრუტის საწყის/საბოლოო და/ან სატრანზიტო რეისების მომსახურების პუნქტს, გარდა ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

6. პირველი კლასის ავტოსადგურში მოსაცდელი დარბაზიდან ავტობუსში ჩასასხდომად მგზავრის გადაადგილება უნდა ხდებოდეს გადახურული კონსტრუქციის ქვეშ.

7. ავტოსადგურს ფასადის მხრიდან უნდა გააჩნდეს შესაბამისი წარწერა «ავტოსადგური» და მისი საფირმო დასახელება ქართულ და ასევე შესაძლებელია სხვა ენაზეც.

8. პირველი კლასის ავტოსადგურებში მოსაცდელი დარბაზი, დედათა და ბავშვთა ოთახი, საბილეთო



სალაროები, შემნახველი საკანი, ცნობათა ბიურო და საპირფარეშო განთავსებული უნდა იყოს შენობის ერთ კომპლექსში.

9. ავტოსადგურის მოსაცდელი დარბაზის, სამუშაო ადგილების, სათავსების და ტერიტორიის განათება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი სანიტარიული და სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს.

10. ავტოსადგურის ტერიტორიის სავალი ნაწილი დაფარული უნდა იყოს ასფალტით, ბეტონით ან სხვა, სამშენებლო ნორმებით დადგენილი მყარი საფარით.

11. საერთაშორისო და ქვეყნის შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანისას ავტობუსების რეისში გასვლა ხდება ავტოსადგურიდან. სოფლის ტიპის დასახლებების ჩამონათვალი, სადაც სავალდებულოა ავტოსადგურიდან ავტობუსების რეისში გასვლა, განისაზღვრება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტით.

12. ავტოსადგურის ტერიტორიაზე მგზავრებს მოსაცდელიდან ბაქნებზე მისასვლელად არ უნდა უხდებოდეთ ავტობუსების გადაადგილების ტრაექტორიის გადაკვეთა. ავტობუსებისა და მგზავრების მოძრაობამ არ უნდა შეუქმნას დაბრკოლება საერთო სარგებლობის საავტომობილო გზაზე მოძრავ საგზაო ტრანსპორტს. ავტოსადგურის განლაგებამ არ უნდა შეამციროს მიმდებარე საავტომობილო გზების გამტარუნარიანობა.

13. სამივე კლასის ავტოსადგურში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი პირობები (პანდუსები, ბილიკები, გასასვლელები და სხვა), რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის“ სტანდარტებს.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ნოემბრის დადგენილება №503 - ვებგვერდი, 15.11.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №614 – ვებგვერდი, 08.10.2020წ.*

მუხლი 5. მგზავრების მოსაცდელი დარბაზი

1. პირველი და მეორე კლასის ავტოსადგურებში მოსაცდელ დარბაზში მგზავრებს უნდა მიეწოდებოდეს ხმოვანი და/ან ვიზუალური ინფორმაცია ავტობუსების ბაქანზე ჩამოდგომის, მარშრუტებზე ავტობუსების მიმოსვლის, განრიგებში ცვლილებების, მგზავრობასთან დაკავშირებული და მომსახურების დამატებითი პირობების შესახებ.

2. პირველი და მეორე კლასის ავტოსადგურის ერთიანი მოსაცდელი დარბაზის (რომელიც მოიცავს მოსაცდელ და სალაროების ზონებს) მგზავრობის მინიმალური რაოდენობა ავტოსადგურის მგზავრთა სადღეღამისო გამტარუნარიანობის მიხედვით მოცემულია №1 დანართში.

3. პირველი და მეორე კლასის ავტოსადგურის მოსაცდელ დარბაზში განთავსებული უნდა იყოს სკამები, რომელთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება დარბაზის მგზავრობის მიხედვით №1 დანართის შესაბამისად.

მუხლი 6. საბილეთო სალარო

1. საბილეთო სალაროს (ერთეული განყოფილების) ფართი არ უნდა იყოს ნაკლები 3 მ² -ზე.

2. საბილეთო სალაროში თვალსაჩინო ადგილზე უნდა იყოს გამოკრული სალაროს მუშაობის რეჟიმი, კონკრეტულ რეისზე მგზავრობისა და ბარგის გადატანის ღირებულება, მოლარის სახელი და გვარი.

3. საბილეთო სალაროების მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება დღეღამის განმავლობაში ავტოსადგურიდან გასამგზავრებელი მგზავრების საერთო რაოდენობის მიხედვით შემდეგი თანაფარდობით – ყოველ 400 მგზავრზე არანაკლებ ერთი სალაროსი.

მუხლი 7. საინფორმაციო სამსახური

1. პირველი და მეორე კლასის ავტოსადგურებში საინფორმაციო სამსახურის მიერ მგზავრებსა და გადამზიდველებს ხმოვანი ან/და ვიზუალური სახით მიეწოდებათ მგზავრობის პროცესთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

ა) მგზავრთა ავტობუსში ჩასხდომის დაწყებისა და ავტობუსის გასვლის დროის თაობაზე;

ბ) რეისიდან ავტოსადგურში შემოსული ავტობუსის შესახებ;



- გ) რეისის გადადებისა ან/და დამატებითი რეისის დანიშვნის შესახებ;
- დ) მოძრაობის არსებულ განრიგებში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- ე) ავტობუსის გასვლის და შემოსვლის დაგვიანების შესახებ;
- ვ) რეისში გამსვლელი ავტობუსების ტიპი და მარკა;
- ზ) ბარგის მიღების, შენახვისა და გაცემის წესი;
- თ) ავტოსადგურის მუშაობის რეჟიმი.

2. პირველი კლასის ავტოსადგურში მგზავრებს მიეწოდებათ აგრეთვე ინფორმაცია აღნიშნული სადგურიდან სხვა სატრანსპორტო კვანძებამდე (რკინიგზის სადგური, აეროპორტი, ავტოსადგური, მეტრო) მისვლის თაობაზე.

3. საინფორმაციო სამსახური აცხადებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას მარშრუტზე მეტეოროლოგიური პირობების გაუარესების შესახებ.

4. საერთაშორისო რეგულარული გადაყვანების მომსახურებისას ინფორმაციის გამოცხადება უნდა მოხდეს ქართულ და ასევე ერთ-ერთ უცხო ენაზეც.

5. მეორე და მესამე კლასის ავტოსადგურში ამ მუხლის პირველი პუნქტში მოყვანილი მგზავრობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მგზავრებს შეიძლება მიაწოდოს საბილეთო სალაროს მუშაკმა ან დისპეტჩერმა.

მუხლი 8. ბარგის შემნახველი საკანი

- 1. მგზავრების კუთვნილი ბარგისა და ხელბარგის (შემდომ – ბარგი) დროებითი შენახვა და დაცვა ავტოსადგურში ხორციელდება ბარგის შემნახველი საკანის (შემდგომ – შემნახველი საკანი) ან/და ავტომატური შემნახველი კამერების მეშვეობით.
- 2. შესანახად ჩაბარებული მალფუჭებადი პროდუქტების ბუნებრივი მიზეზებით გაფუჭებისას შემნახველ საკანს პასუხისმგებლობა არ ეკისრება.
- 3. შემნახველ საკანში თვალსაჩინო ადგილზე უნდა იყოს გამოკრული შემნახველი საკანის მუშაობის რეჟიმი, ბარგის შენახვის წესი და პირობები, შენახვის ვადები და ღირებულება, აგრეთვე მომსახურე პერსონალის სახელი და გვარი.
- 4. შემნახველი საკანის მუშაობის რეჟიმს და პირობებს აწესებს ავტოსადგურის ადმინისტრაცია.

მუხლი 9. მძღოლების დასასვენებელი ოთახი

მძღოლების დასასვენებელი ოთახის ფართობი განისაზღვრება იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იყოს ერთდროული დასვენება რეისში გასავლელი მძღოლების არანაკლები 50%-ისა, ავტობუსების მოძრაობის სადღეღამისო განრიგიდან ყველაზე გადატვირთულ (ავტობუსების მოძრაობის ინტენსივობით) ერთ საათზე გაანგარიშებით.

მუხლი 10. დედათა და ბავშვთა ოთახი

- 1. დედათა და ბავშვთა ოთახი განკუთვნილია 5 წლამდე ასაკის ბავშვიანი მგზავრების, ფეხმძიმე ქალებისა და ეტლით გადაადგილებადი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განსათავსებლად.
- 2. დედათა და ბავშვთა ოთახი უნდა ფუნქციონირებდეს ავტოსადგურის მთელი სამუშაო პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 11. სადისპეტჩერო

სადისპეტჩერო უნდა უზრუნველყოს:

- ა) ავტოსადგურში ავტობუსების მოძრაობის რეგულირება;
- ბ) კავშირი გადამზიდველებთან მარშრუტებზე გადაზიდვების რეგულირების მიზნით;



გ) ავტოსადგურში მოძრაობის განრიგების დაცვაზე ზედამხედველობა და საგზაო სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება დადგენილი წესით;

დ) ინფორმაციის მიწოდება საბილეთო საღარიბის მუშაკებისათვის ავტობუსების ბაქანზე ჩამოდგომისა და მოძრაობის განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ;

ე) დაინტერესებულ პირთა ინფორმირება, მოძრაობის განრიგებში ცვლილებების შეტანის, ავტობუსების გასვლის, დამატებითი რეისების შემოღებისა ან გაუქმების შესახებ;

ვ) ავტობუსების ტექნიკური გაუმართაობის ან სხვა გარემოებების შემთხვევაში გადამზიდველთან დაკავშირება და მასთან ერთად რეისის ჩაშლის თავიდან აცილების მიზნით სათანადო ზომების მიღება.

მუხლი 12. ბაქანი

1. ბაქნის დანიშნულებაა უზრუნველყოს ავტოსადგურის ტერიტორიაზე მგზავრების ავტობუსში უსაფრთხო და მოხერხებული ჩასხდომა/გადმოსხმა და ავტობუსების თავისუფალი მანევრირება.

2. ბაქანთან ავტობუსის მისვლა უნდა განხორციელდეს წინა სვლით.

3. პირველ და მეორე კლასის ავტოსადგურებში ბაქანი და მასზე განლაგებული მგზავრთა ჩასხდომის/გადმოსხმის პოსტები უნდა იყოს დანომრილი.

4. პირველი და მეორე კლასის ავტოსადგურებში ბაქანი უნდა იყოს აღჭურვილი:

ა) ფარდულით (პირველი კლასის ავტოსადგურისათვის);

ბ) განათებით ღამის საათებში მგზავრების ჩასხდომა/გადმოსხმისა და ბარგის ჩაბარება/მიღების უზრუნველსაყოფად;

გ) ჩასასხდომი (გადმოსასხდომი) მოედნებისა და გზის სავალი ნაწილის მონიშვნით;

დ) სკამებით (პირველი კლასის ავტოსადგურისათვის).

5. პირველი და მეორე კლასის ავტოსადგურებში ბაქანი გზის სავალი ნაწილიდან ამალელებულ უნდა იყოს არანაკლებ 15 სმ-ით.

6. ბაქანის განლაგების სარეკომენდაციო სქემები და ზომები მოცემულია №№3, 4 და 5 დანართებში.

7. მგზავრების ჩასასხდომად ავტობუსის ბაქანზე ჩამოდგომა ხდება მოძრაობის განრიგით განსაზღვრული დროის შესაბამისად, გასვლამდე არანაკლებ 20 წუთით ადრე.

8. დისპეტჩერი ან ბაქნის შესაბამისი მომსახურე პერსონალი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ავტობუსის გასვლა ავტოსადგურიდან განრიგის შესაბამისად. ავტოსადგურიდან გასვლისას ავტობუსში მგზავრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის მიერ დასაქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს;

ბ) არ დაუშვას ბაქანთან დაუსუფთავებელი და ანტისანიტარიულ მდგომარეობაში მყოფი ავტობუსი.

9. ავტობუსში მგზავრების ჩასხდომისა და გადმოსხმის პოსტების მინიმალური რაოდენობა გამოიანგარიშება ავტობუსების მოძრაობის სადღეღამისო განრიგიდან ყველაზე გადატვირთულ (ავტობუსების მოძრაობის ინტენსივობით) ერთ საათში ავტოსადგურიდან რეისში გასასვლელი და ავტოსადგურში რეისიდან შემოსასვლელი ავტობუსების ჯამური რაოდენობის მიხედვით შემდეგი ფორმულებით:



$$P_1 = \frac{A}{6}, P_2 = \frac{A}{12}$$

სადაც P_1 – ჩასხდომის პოსტების მინიმალური რაოდენობა;

P_2 – გადმოსხმის პოსტების მინიმალური რაოდენობა;

A – ავტობუსების მოძრაობის სადღეღამისო განრიგიდან ყველაზე გადატვირთულ (ავტობუსების მოძრაობის ინტენსივობით) ერთ საათში ავტოსადგურიდან რეისში გასასვლელი და ავტოსადგურში რეისიდან შემოსასვლელი ავტობუსების ჯამური რაოდენობა.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტში მოყვანილი ფორმულებით გაანგარიშებული მგზავრების ჩასხდომისა და გადმოსხმის პოსტების მინიმალური რაოდენობები მოყვანილია №2 დანართში.

მუხლი 13. ავტოსადგურის ადმინისტრაციის ვალდებულებანი

ავტოსადგურის ადმინისტრაცია ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ავტოსადგურის ტერიტორიაზე და შენობებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანიტარიულ-ჰიგიენური, მოძრაობის, ეკოლოგიური და სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვა;

ბ) გააფორმოს გადამზიდველთან მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება კანონმდებლობით დადგენილი წესით და პირობებით, თუ ავტოსადგურში მგზავრების ჩასხდომისა და გადმოსხმის პოსტების ფაქტობრივი რაოდენობა არ არის ნაკლები წინამდებარე წესის მე-12 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად გაანგარიშებულ პოსტების მინიმალურ რაოდენობაზე;

გ) უზრუნველყოს რეისში მხოლოდ ტექნიკურად გამართული (პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დადებითი შედეგის მოქმედვადაიანი) ავტობუსისა და წინასარეისო სამედიცინო შემოწმებაგავლილი მძღოლის გასვლა;

დ) შეადგინოს და მიიღოს წინამდებარე წესის მოთხოვნებთან მომსახურების შესაბამისობის დეკლარაცია ან აღნიშნულ მოთხოვნებთან მომსახურების შესაბამისობის შეფასების მიზნით მიმართოს აკრედიტებულ სერტიფიკაციის ორგანოს.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის დადგენილება №516 - ვებგვერდი, 08.12.2017წ.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა წესის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის

წინამდებარე წესის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 15. საქართველოს სახმელეთო სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთების სასაზღვრო გამტარ პუნქტებთან განთავსებული M2, M3, N2 და N3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ავტოსადგომის პარამეტრები და მათი ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართვა

1. საქართველოს სახმელეთო სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთის სასაზღვრო გამტარ პუნქტთან განთავსებული M2, M3, N2 და N3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ცალკე, ნახევარმისაბმელით ან მისაბმელით) ავტოსადგომი, რომელიც მდებარეობს სასაზღვრო გამტარი პუნქტიდან არაუმეც 20 კმ-ის რადიუსში არსებულ ტერიტორიაზე და ჩართულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში, უნდა აკმაყოფილებდეს ამ რეგლამენტის №6 დანართით დადგენილ პარამეტრებს.

2. პირი, რომელიც ფლობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ავტოსადგომს, ამ რეგლამენტის №6 დანართით განსაზღვრულ პარამეტრებთან (გარდა ამ რეგლამენტის №6 დანართის მე-2 პუნქტით (ტერიტორიაზე და საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული შესვლა-გამოსვლის რიგის მარეგულირებელი სისტემა) გათვალისწინებული პირობისა) ამავე ავტოსადგომის მონაცემების შესაბამისობის დამადასტურებელ სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შესაბამის სფეროში აკრედიტებული შეფასების/ინსპექტირების უფლებამოსილების მქონე პირის მიერ გაცემულ დასკვნას



წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს (შემდგომში – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო). აღნიშნული დასკვნა ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ავტოსადგომის ტერიტორიაზე ამ რეგლამენტის №6 დანართის შესაბამისად მოწყობილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გასაჩერებელი ადგილების რაოდენობის შესახებ.

3. სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, ამ მუხლით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართვის მიზნით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის შესახებ ინფორმაციას აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – შემოსავლების სამსახურს (შემდგომში – შემოსავლების სამსახური).

4. სისტემაში ჩართვამდე და სისტემაში ჩართვის მთელი პერიოდის განმავლობაში, ავტოსადგომის მფლობელი უზრუნველყოფს ავტოსადგომის შესასვლელისა და გასასვლელის მუდმივი (უწყვეტი) ვიდეოკონტროლის განხორციელების მიზნით დამონტაჟებულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებზე შემოსავლების სამსახურის მიმდინარე რეჟიმში (ონლაინ) წვდომას, შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებული ფორმით.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ავტოსადგომი ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართვის მთელი პერიოდის განმავლობაში:

ა) უნდა ასრულებდეს „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №258/73 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული წესით განსაზღვრულ ვალდებულებებს;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა უზრუნველყოფდეს ავტოსადგომის შესასვლელისა და გასასვლელის მუდმივი (უწყვეტი) ვიდეოკონტროლის განხორციელებას, ვიდეომეთვალყურეობის სისტემების მუდმივ (უწყვეტი) რეჟიმში მუშაობით. ამასთან, ვიდეოჩამწერი საშუალებებით უწყვეტად უნდა ფიქსირდებოდეს (უნდა იძლეოდეს ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას დღე-ღამის განმავლობაში) ავტოსადგომის შესასვლელი და გასასვლელი, ავტოსადგომზე შესული/ავტოსადგომიდან გასული თითოეული სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი/სანომრე ნიშანი (ვიდეოკადრში სანომრე ნიშანი უნდა ჩანდეს მკაფიოდ და გარკვევით);

გ) ვალდებულია ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განხორციელებული ვიდეოჩანაწერები შეინახოს არანაკლებ 90 კალენდარული დღის განმავლობაში და მოთხოვნისამებრ წარუდგინოს შემოსავლების სამსახურს. მონაცემების (ინფორმაციის) ამოღება შესაძლებელი უნდა იყოს DVD, HDD, USB ან Ethernet ინტერფეისით avi, vcv ან mp4 ფორმატის ფაილებში. ვიდეოჩანაწერები უნდა ინახებოდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს კონკრეტული თარიღის ან/და კონკრეტული საათის შესაბამისი ვიდეოჩანაწერის ნახვა;

დ) ჯეროვნად უნდა ასრულებდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ავტოსადგომზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დგომისათვის ავტოსადგომის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი საფასურის დღიური განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო ავტოსადგომის მფლობელს ან/და ადმინისტრაციას უგზავნის წერილობით შეტყობინებას, სადაც მიეთითება ინფორმაცია:

ა) ვალდებულების შეუსრულებლობის გამოვლენისა და მისი აღმოფხვრის ვადის შესახებ, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს;

ბ) ნაკლოვანებათა დადგენილ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, შესაბამისი ავტოსადგომის



რიგების მართვის ელექტრონული სისტემიდან გამორთვის შესახებ.

8. სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო უფლებამოსილია, მიმართოს შემოსავლების სამსახურს, რიგების მართვის ელექტრონული სისტემიდან ავტოსადგომის გამორთვის მოთხოვნით:

ა) ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინებით განსაზღვრულ ვადაში ამავე შეტყობინებით გათვალისწინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრებლობის შემთხვევაში;

ბ) ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში.

9. შემოსავლების სამსახური ვალდებულია, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის მიღებიდან 72 საათის ვადაში უზრუნველყოს რიგების მართვის ელექტრონული სისტემიდან შესაბამისი ავტოსადგომის გამორთვის განხორციელება. ასევე, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება რიგების მართვის ელექტრონული სისტემიდან შესაბამისი ავტოსადგომის გამორთვის შესახებ, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

ა) ავტოსადგომის მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩადენილია განმეორებით;

ბ) საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 102-ე გრაფით გათვალისწინებული მომსახურების საფასური არ არის გადახდილი ამავე დადგენილების 1¹⁵ მუხლით განსაზღვრულ ვადაში.

10. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისას (განმეორებით ჩადენილის გარდა), შემოსავლების სამსახური ავტოსადგომის მფლობელს ან/და ადმინისტრაციას უგზავნის წერილობით შეტყობინებას, სადაც მიეთითება ინფორმაცია ვალდებულების შეუსრულებლობის გამოვლენისა და იმავე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში შესაბამისი ავტოსადგომის რიგების მართვის ელექტრონული სისტემიდან გამორთვის შესახებ.

11. ამ მუხლის მიზნებისათვის, ვალდებულების განმეორებით შეუსრულებლობად ჩაითვლება იმავე ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ჩადენილია წინა ქმედების გამოვლენიდან 12 თვის განმავლობაში.

12. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს რიგების მართვის ელექტრონული სისტემიდან ავტოსადგომის გამორთვის შესახებ ინფორმაციის სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოსათვის მიწოდებას.

13. რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ავტოსადგომის ხელახლა ჩართვა შესაძლებელია, თუ იგი აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნებს და შესრულებულია ამ მუხლის პირველი – მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული პირობები. ამასთან, რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ავტოსადგომის ხელახლა ჩართვის შესახებ განცხადება მიიღება სისტემიდან ავტოსადგომის გამორთვიდან არანაკლებ 3 თვის გასვლის შემდეგ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №234 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის დადგენილება №278 - ვებგვერდი, 27.06.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ნოემბრის დადგენილება №503 - ვებგვერდი, 15.11.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 25 მაისის დადგენილება №249 - ვებგვერდი, 25.05.2018წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №650 - ვებგვერდი, 27.12.2018წ.


საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 მარტის დადგენილება №154 - ვებგვერდი, 10.03.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 მარტის დადგენილება №134 - ვებგვერდი, 29.03.2021წ.

დანართი №1

**ავტოსადგურის ერთიანი მოსაცდელი დარბაზის მგზავრთტევადობის,
ფართობის და სკამების მინიმალური რაოდენობა**






სწორხაზოვანი (კამბოლი) ბაქანი

(ზომა მიცემული სანტიმეტრებში)

დანართი № 4



დანართი №5

ბაქნის ზომები

(სანტიმეტრებში)

α	A	B	C	D	E
450	1200	400	500	1000	600
300	1100	400	350	1200	800
600	1600	400	600	850	500
900	2000	400	700	350	420

ცხრილში მოცემული ზომები დადგენილია რეალური გაზომვების საფუძველზე, შემდეგი პარამეტრების მქონე ავტობუსის მაგალითზე: სიგრძე – 1140 სმ, სიგანე – 250 სმ, ბაზა – 555 სმ, წინა განაკიდი – 246 სმ, უკანა განაკიდი – 338 სმ, მოხვევის უმცირესი რადიუსი მარცხნივ – 1025 სმ, მარჯვნივ – 1275 სმ.

დანართი №6

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №234 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.
 საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 მარტის დადგენილება №154 – ვებგვერდი, 10.03.2020წ.
 საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 მარტის დადგენილება №134 – ვებგვერდი, 29.03.2021წ.



M2, M3, N2 და N3 კატეგორიის (ცალკე, ნახევარმისაბმელით ან მისაბმელით) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ავტოსადგომის პარამეტრები

M2, M3, N2 და N3 კატეგორიის (ცალკე, ნახევარმისაბმელით ან მისაბმელით) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ავტოსადგომს (შემდგომში – ავტოსადგომი) უნდა გააჩნდეს:

1. ავტოსადგომის შესასვლელში სადგომზე არსებული სერვისის მანიშნებელი.
2. ტერიტორიაზე და საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული შესვლა-გამოსვლის რიგის მარეგულირებელი სისტემა.
3. ბეტონის ან/და ასფალტის საფარი.
4. გარემოსდაცვითი საშუალებები.
5. თანდართული ცხრილის და ნახაზების (1,2,3,4) შესაბამისად მოწყობილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გასაჩერებელი ადგილები.
6. დასათვალიერებელი ორმო/ორმოები.
7. შეღობილი და დაცული ტერიტორია.
8. ავტოსადგომის შესასვლელისა და გასასვლელის მუდმივი (უწყვეტი) ვიდეოკონტროლის განხორციელებული მიზნით დამონტაჟებული, შემოსავლების სამსახურის მფლობელობაში არსებულ ლიცენზირებულ სისტემებთან თავსებადი ვიდეომეთვალყურეობის სისტემები.

ავტოსადგომზე დაცული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემოთხოვნები:

1. ჰიგიენური და სანიტარიული ნორმები.
2. სახანძრო უსაფრთხოების ნორმები.
3. ტერიტორიის განათების ნორმები.

კატეგორია	გასაჩერებელი ადგილის დახრის კუთხე	გასაჩერებელი ადგილის სიგრძე, მ	გასაჩერებელი ადგილის სიგანე, მ	ავტოსადგომის შესასვლელის სიგანე, მ	ავტოსადგომის გამოსასვლელის სიგანე, მ	განლაგების სქემა ნახაზი
ავტობუსი, სატვირთო ავტომობილი	45 ⁰	14	4	8	8	1
სატვირთო ავტომობილი ნახევარმისაბმელით, მისაბმელით (ავტომატარებელი)	45 ⁰	20	3.5	8	8	2
	0 ⁰	20	4	12	12	3
	60 ⁰	20	3.5	5.5	5.5	4

არაგაბარიტული და სახიფათო ტვირთის მქონე სატრანსპორტო საშუალებებისათვის გამოიყოფა ც ტერიტორია.



